ნავთობროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ხელშეკრულება № 10

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2012 წელი

1. ერთის მხრივ, ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის დალი ფუტკარაძის სახით და, მეორეს მხრივ, ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი ბათუმის სერვის-ცენტრის უფროსის რამაზ ხინთიბიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი – ,,Api დიზელი".

3. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით: ,,Api დიზელი" 50 000 ლიტრი (PPM 50 და ნაკლები)

4. ერთეულის ფასი საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით - საწვავის მოთხოვნის (აღნიშნული მოთხოვნის მიმწოდებლის მიერ მიღების) დღისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ შესაბამისი მარკის საწვავის ერთეულის (1 ლიტრის) ფასს გამოკლებული დისქაუნთი შემდეგი ოდენობით - 4 (ოთხი) თეთრი.

5.1 შემსყიდველის მიერ საწვავის სახელმწიფო შესყიდვა, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა საკითხის სამართლებრივი დარეგულირება (თუ წინამდებარე გამარტივებული ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული განსხვავებული დარეგულირება) განხორციელდება ნავთობროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების" შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ ის გაცნობილია და ეთანხმება ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების" უკლებლივ ყველა პირობას.

5.2 საწვავის მიწოდება მოხდება ადგილზე მიწოდებით (გადაზიდვით), მისამართზე: ბათუმი, ხელვაჩაურის რაიონი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის შეკვეთების შესაბამისად (გატანა ეტაპობრივად).

5.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას წინასწარ გადაუხადოს მიმწოდებელს საწვავის ღირებულება, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ინვოისის საფუძველზე. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა საწვავის შეძენის ნაწილში განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სხვა უფლება-მოვალეობების ნაწილში - მათ სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

445393510

JSC "WISSOL PETROLEUM GEORGIA"
202161098
SERVICE-CENTRE OF BATUMI

7. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის მიღებაზე და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის გიორგი ბერიძე 61003010984 (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება სადავო გახდეს შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურიდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: ა(ა)ი(ბ) ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება. მის: ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. N45 ს/კოდი: 445393510

---------- /დალი ფუტკარაძე/

მიმწოდებელი: ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ბ, ს/კოდი: 202161098, ს/ს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა №GE48TB1100000018467453

---------- /რამაზ ხინდარაძე/